

# სახაზინო სამსახურის

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

#### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 9 891 079.8 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 8 170 499.3 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 287 319.1 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 71 873.6 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 1 361 387.8 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (8 170 499.3 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (8 048 920.0 ათასი ლარი) 101.5%;

– გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 7 520 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 7 549 608.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.4%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 042 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 077 992.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 101.2%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 038 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 052 388.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.7%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (1 025 228.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (1 004 000.0 ათასი ლარი) 102.1%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 375.3 ათასი ლარი;

- წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 4 385 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4 376 186.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.8%-ია; მათ შორის:
  - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 525 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 505 454.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 99.4%;
  - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 870 731.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (860 000.0 ათასი ლარი) 101.2%-ია;
- წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 68 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 69 294.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 101.9%-ია;
- „სხვა გადასახადების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 25 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 26 136.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 104.5%.  
გრანტების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 238 920.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 315 593.2 ათასი ლარი (რაც გეგმის 132.1%-ია); მათ შორის:
  - ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 116 375.0 ათასი ლარი;
  - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 17 983.5 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
  - საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 121 589.7 ათასი ლარი;
  - ათასი ლარი;
  - სხვა გრანტები (სსიპ - დან მიღებული) – 6 157.1 ათასი ლარი;
  - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 53 487.9 ათასი ლარი.
  - „სხვა შემოსავლების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 290 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 305 297.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო

მოცულობის 105.3%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 18 120.5 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-დეკემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (287 319.1 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (280 000.0 ათასი ლარი) 102.6%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 71 873.6 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მოცულობის (85 000.0 ათასი ლარი) 84.6%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 71 867.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (85 000.0 ათასი ლარი) 84.6%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 5.8 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 361 387.8 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 331 080.0 ათასი ლარის 102.3%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 314 680.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (315 000.0 ათასი ლარი) 99.9%–ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 1 046 707.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 016 080.0 ათასი ლარი) 103%–ია, მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 470 559.8 ათასი ლარი;

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 255 380.4 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 320 766.9 ათასი ლარი;

– 34 48 კოდზე (შემოსულობა ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) არასწორად ჩარიცხული თანხა – 0.5 ათასი ლარი;

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 360 373.8 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ

ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-დეკემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 988.0 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 413.3 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 238.3 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 622 365.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 599.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია“ – 265.7 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 187 952.7 ათასი ლარი.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

2015 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 8 170 499.3 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 8 048 920.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 8 157 998.4 ათასი ლარი (წლიური გეგმა 8 090 303.2 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 12 500.8 ლარი (წლიური გეგმა -17 595.3 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 392 854.2 ათასი ლარი: მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 287 319.1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 680 173.3 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -380 353.4 ათასი ლარი (უარყოფითი), (წლიური გეგმა -418 580.2 ათასი ლარი (უარყოფითი).

### **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 9 620 000.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 8 971 000.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 649 000.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების

განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 9 718 777.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 9 703 127.1 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 8 925 847.1 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 777 280.0 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.8%, ხოლო გეგმის 100.9%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-დეკემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 91.99%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 8%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-დეკემბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 378 765.0 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 377 915.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 376 776.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 917 475.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 951 028.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 946 218.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 103.1%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 326 883.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 326 591.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 326 591.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 152 297.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (152 297.4 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 174 293.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (174 293.8 ათასი ლარი) 100.0%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის გეგმამ შეადგინა 235 626.4 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 246 639.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 245 745.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.6%-ს და გეგმის 104.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 34 473.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 34 473.5 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის გეგმამ შეადგინა 1 276 397.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 271 342.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 271 474.8 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის 99.6%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-დეკემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 1 242 414.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (1 242 538.5 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-დეკემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 802 402.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 802 636.0 ათასი ლარი) 100% და საგეგმო პარამეტრის (2 801 988.1 ათასი ლარი) 100%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის გეგმით განისაზღვრა 2 028 641.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 2 028 598.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 398 957.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 398 957.0 ათასი ლარი) და გეგმის (1 398 957.1 ათასი ლარი) 100%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 611 839.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 611 837.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (611 837.4 ათასი ლარი) 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 725 856.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 726 340.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.1% და ვალდებულების (726 441.3 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის გეგმა განისაზღვრა 1 153 166.4 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 191 250.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 188 921.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და გეგმის 103.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 429 787.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 429 737.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (429 780.1 ათასი ლარი) 100%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 46 000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 46 000.0 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (46 000.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის გეგმით განისაზღვრა 680 985.0 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 685 779.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 680 173.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.2%-ს და გეგმის 99.9%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 397 258.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 394 097.1 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (393 404.7 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 99%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 428 506.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 445 306.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 444 804.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის 103.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 26 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 26 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 49 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (49 500.0 ათასი ლარი) და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 420 205.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 420 156.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ



შეადგინა 420 150.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ია. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 370 405.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (370 405.6 ათასი ლარი) 100%-ია;

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 49 745.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (49 750.5 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, („იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“) მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 920.8 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი იანვრისათვის შეადგინა 16 ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**

2015 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 8 838 171.8 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 050 259.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 049 822.1 ათასი ლარი) 100%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 367 957.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (368 125.4 ათასი ლარი) 99.9% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.9%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 326

517.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (326 810.0 ათასი ლარი) 99.9% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 15.9%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 629 399.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 654 214.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 103.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (8 838 171.8 ათასი ლარი) 7.4%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 963 502.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 961 032.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.9%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 650 339.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (648 688.1 ათასი ლარი) 100.2%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (107 852.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (108 769.0 ათასი ლარი) 99.2%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 117 722.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (120 243.5 ათასი ლარი) 97.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 944 304.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 950 249.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (43 524.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (43 842.3 ათასი ლარი) 99.3%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (201 031.9 ათასი ლარი), გეგმის (197 784.7 ათასი ლარი) 101.6% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 575 792.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 568 642.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.8%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 44 238.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 44 794.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.3%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 49 082.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 48 382.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.6%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 34 119.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 34 006.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 832 894.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 855 131.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.7%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 612 095.8 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (612 052.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 100%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (151 096.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (132 629.2 ათასი ლარი) 113.9%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა 15 018.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (15 173.4 ათასი ლარი) 99%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 222 584.0 ათასი ლარით, რაც 2015 წლის გეგმიური მაჩვენებლის (215 103.2 ათასი ლარი) 103.5%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 42 357.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (42 457.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 100.2%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 849 955.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 833 914.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.4%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 476 066.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (476 460.8 ათასი ლარი) 99.9%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 132 736.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (130 096.8 ათასი ლარი) 102%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 2 192 985.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 217 608.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.1%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 399 245.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 399 245.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 630 125.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (630 442.1 ათასი ლარი) 99.9%-ია.

## **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდათორმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 899.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 4 692.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 206.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ასთექსმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 168 827.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 167 943.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 883.4 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდათერთმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 401 076.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 399 583.9 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 492.8 ათასი ლარი.

## **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 14 013.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 14 452.3 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 7 872.5 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 7 872.4 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 6 973.0 ათასი ლარი (გეგმა – 6 973.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 899.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 29 700.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 4 867.7 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 175.8 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 175.8 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 24 359.2 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 24 359.2 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 800.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 536.4 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 4 867.7 ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.